



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 12 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №11/19-2

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 22 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 04 აპრილის №11/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლე --- კერძო საჩივარი არ განიხილა კანონით დადგენილ ვადაში.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 04 აპრილს, --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების --- სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს --- სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა. ამავე სარჩელით მხარემ მოითხოვა --- სააგენტოს 2017 წლის 06 მარტის №-- აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) მოქმედების შეჩერება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 06 აპრილის განჩინებით სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდა; შეჩერდა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - --- სააგენტოს 2017 წლის 06 მარტის №-- აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის მოქმედება (ადმინისტრაციული დაპირება), მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულებამდე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 06 აპრილის განჩინებით -- -- სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად; №-- ადმინისტრაციულ საქმეში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მესამე პირად ჩაბმულ იქნა --.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- -- სააგენტომ 2017 წლის 13 აპრილს. -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის განჩინებით -- -- სააგენტოს კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 01 ივნისის განჩინებით -- -- სააგენტოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 06 აპრილის განჩინება. აღნიშნული განჩინება მხარეებს გაეგზავნათ 2018 წლის 07 აგვისტოს.

-- -- სასამართლოში 2018 წლის 21 ივნისს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე -- -- სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენლებმა იშუამდგომლეს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და განმარტეს, რომ მოსარჩელე მხარის იურიდიული ინტერესი განსახილველ შემთხვევაში არ იკვეთებოდა. შუამდგომლობას დაეთანხმა მესამე პირის წარმომადგენელი. -- -- სასამართლოს განჩინებით განსახილველ სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- -- 2018 წლის 17 აგვისტოს. საქმე -- სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2018 წლის 13 ნოემბერს და -- სააპელაციო სასამართლოში შევიდა 2018 წლის 15 ნოემბერს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად; კერძო საჩივარი განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 28 დეკემბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ივნისის განჩინება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 04 აპრილის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 22 იანვრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“ (2020 წლის 01 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური

გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება¹.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlander v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

საპროცესო ვადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ისე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ვადებზე, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კერძო საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. 2018 წლის 28 დეკემბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ივნისის განჩინება.

ამდენად, მოცემულ საქმეზე კერძო საჩივრის განხილვისათვის კანონით დადგენილი 2 თვიანი ვადა არ დარღვეულა.

ამდენად, მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №11/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი**